ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია

ოქმი N3 '' 13" მაისი 2020 წელი.

სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე: ხვიჩა ცხვიტარია.

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის წევრები-ოლეგი ნაჭყებია, თამარ თოფურია, დავით კვიციანი.

მოისმინეს: ინფორმაცია, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის დღის წესრიგის შესახებ.

დღის წესრიგი:

1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტის „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და ტრანსპორტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის №5/6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" შესახებ.

/მომხს: ხვიჩა ცხვიტარია - იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე/

2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს განკარგულების პროექტის "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა- პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 7 ივლისის N14/19 დადგენილების შესაბამისად, სოციალურად დაუცველი პირებისთვის შეღავათის დაწესების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მაისის N12/46 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" შესახებ.

/მომხს: ხვიჩა ცხვიტარია - იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე/

3. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტის ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ თაობაზე.

/მომხს: ხვიჩა ცხვიტარია - იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე/

4. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ 2017 წლის 22 ნოემბრის №1/77 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ შესახებ.

   /მომხს: ხვიჩა ცხვიტარია - იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე/

5. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების“ თავმჯდომარის ზურაბ ჩაჩუას დაკავებული თანამდებობიდან გადაყენების (უფლებამოსილების შეწყვეტის), თავმჯდომარის მოადგილის სამსონ კუტალიას დაკავებული თანამდებობიდან გადაყენების (უფლებამოსილების შეწყვეტის) და ფრაქციის თავმჯდომარედ სამსონ კუტალიას არჩევის ცნობად მიღების შესახებ“

   /მომხს: ხვიჩა ცხვიტარია - იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე/

აზრი გამოთქვეს კომისიის წევრებმა: ოლეგი ნაჭყებიამ, თამარ თოფურიამ, დავით კვიციანმა.

დაადგინეს: დამტკიცდეს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -----4 წინააღმდეგი ----- 0

მოისმინეს:

1. ინფორმაცია, დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე.

აზრი გამოთქვეს კომისიის წევრებმა: ოლეგი ნაჭყებიამ, თამარ თოფურიამ, დავით კვიციანმა.

დაადგინეს:

1. მიღებულ იქნას კომისიის დასკვნები და საკრებულოს წარედგინოს განკარგულების პროექტები თანდართული სახით.

მომხრე ----- 3 წინააღმდეგი ----- 1

იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა
და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე **ხვიჩა ცხვიტარია**